№ 01/26
26.06.2021 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

თქვენი 05/02/2021წ. N 911/01 წერილში
მოცემული შენშვნების თაობაზე

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „თოფიჩი“ -ის (ს/კ 412733617) მიერ დაგეგმილია ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია, რომლის მშენებლობა წყალტუბოს რაიონის სოფ წყალტუბოში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 500.0 მ² ფართის, შ.პ.ს. „თოფიჩი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №29.08.42.102) განხორციელდა 2019 წელს, შ.პ.ს. „თოფიჩი“-ს დაკვეთით შპს "მეგობრობა 96"-ის მიერ შესრულებული მშენებლობის პროექტის მიხედვით (რომელიც 2019 წელს შეთანხმებულია ქ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის არქიტექტურის და ზედამხეველობის სამსახურთან). ამასთანავე, მოცემული ავტოგასამართი სადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე თანხმობისა და პირობების შესახებ გაცემულია საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 12/02/2019 N2-03/1368 წერილი (წარმოდგენილია წინამდებარე წერილის დანართის სახით).

შ.პ.ს. „თოფიჩი“-ის მიერ დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 6.3 პუნქტის თანახმად (ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია) გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, შ.პ.ს. „თოფიჩი“-ის წყალტუბოს რაიონის სოფ. წყალტუბოში ავტოგასამართი სადგურის დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით წარმოგიდგენთ შესწორებულ სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: 1. შ.პ.ს. „თოფიჩი “-ის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. წყალტუბოში ავტოგასამართი სადგურის დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის ანგარიში;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 10874
21.06.2021
2/3/CD
02 * სოფლიფეფლი

2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

3. საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 12/02/2019 N2-03/1368 წერილი.

პატივისცემით,
კახა შენგელია

შ.პ.ს. „თოფური“-ის დირექტორი